GMS
Georgian Medical Systems
NEWS
www.gmbg.ge
უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენი საქმეა
№8 > 2012

# Turn Key- ახალი პროდუქტი ქართულ რეალობაში



2011 წლიდან კომპანია GMS-მა საქართველოს სამედიცინო ბაზარზე ახალი პროდუქტი ე. წ. Turn Key შემოიტანა, რაც დამკვეთისათვის მომსახურების მრავალასპექტიანი პაკეტის შეთავაზებას გულისხმობს. ნებისმიერი სიდიდისა და პროფილის სამედიცინო დაწესებულების ბიზნეს გეგმითა და არქიტექტურული პროექტის შემუშავებით დაწყებული, აპარატურის მიწოდებითა და მენეჯმენტით დამთავრებული. ქართული კომპანიის მიერ საავადმყოფოს, კლინიკის თუ სხვა სახის სამედიცინო დაწესებულების 100%-ით დაკომპლექტება ნამდვილად ნოვაცია და სიახლეა ჩვენი ქვეყნისათვის, ხოლო GMS-ის მუშაობა ამ მიმართულებით სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია.

Turn Key პროექტის ყველა ეტაპი (კონცეპტუალური, დიზაინის, მშენებლობის, სათანადო ტექნოლოგიების შერჩევის, სრული აღჭურვის უახლესი თანამედროვე აპარატურითა და მართვის) კლინიკის პროფილისა და მფლობელის მოთხოვნების გათვალისწინებით ხდება. დღეს, მსოფლიო ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, ყველა სამედიცინო დაწესებულების აღჭურვა საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან სერიოზულ გავლენას ახდენს პაციენტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხზე.



კლინიკების აღჭურვაში კომპანია GMS-ს უკვე დიდი ხნის და საკმაოდ სერიოზული გამოცდილება აქვს. ის ფაქტი, რომ GMS მსოფლიო დონის თანამედროვე სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი მრავალი ცნობილი კომპანიის პარტნიორია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის კომპეტენტურობას. კომპანიის მიერ სრულად არის აღჭურვილი დასავლეთ საქართველოს 17 და თბილისის 1 კლინიკა. ნაწილობრივ აღჭურვა, ასევე თბილისში, რამდენიმე საავადმყოფო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კიდევ რამდენიმე მსხვილ კლინიკასთან კონკრეტულ დაკვეთებზე.



კომპანია GMS მომხმარებელს 3 სახის აღჭურვას სთავაზობს:

1. სრული ან ნაწილობრივი აღჭურვა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით.

2. სრული ან ნაწილობრივ აღჭურვა საშუალო დონის, მაგრამ ხარისხიანი აპარატურით.

3. შერეული აღჭურვა, რაც გულისხმობს უმაღლესი დონის აპარატურას, მაგრამ ხარჯების შემცირებას აცევზე.

კომპანიის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები უზრუნველყოფენ შეძენილი საქონლის დროულ მიწოდებას ადგილზე, ტექნიკური ჯგუფი უზრუნველყოფს აპარატურის მონტაჟს, საგარანტიო და ასევე პოსტსაგარანტიო მომსახურებას. კომპანია პასუხს აგებს და აკვირდება აპარატურის გამართულ მუშაობას, უზრუნველყოფს მედპერსონალის გადამზადებას, აგრეთვე ყველა სახის მაღალტექნოლოგიური იარაღების, სასტერილიზაციო





ხსნარების, მედპერსონალის უნიფორმის, ყველანაირი სახარჯი მასალისა და სხვა მიწოდებას. მოქმედებს ანგარიშწორების მოქნილი სისტემა, რომელიც დამკვეთის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა მორგებული.

**კომპანია GMS ძალას არ იშურებს, რათა ქართველ მომხმარებელს საუკეთესო პროდუქტი შესთავაზოს, რომლის უდაო უპირატესობაა მაღალი ხარისხი და მომხმარებელზე ორიენტირებულობა.**

Johnson&Johnson DIAGON® GE implantcast NIPRO Broche®

MEDICA®

# MEDICA- წლის მნიშვნელოვანი მოვლენა მედიცინაში

16 - 19 ნოემბერს კომპანია GMS-ის თანამშრომლები დუსელდორფის საგამოფენო ცენტრში Messe Dusseldorf მოწყობილ მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო გამოფენა MEDICA–2011-ს დაესწრნენ.

მედიცინა და ჯანდაცვა დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მსოფლიოსათვის. სამედიცინო მომსახურების ინდუსტრია კი ყოველთვის ითვლებოდა რთულ სფეროდ, რადგან სპეციალურ პირობებს, მაღალტექნოლოგიურ აპარატურასა და მოწყობილობების საწარმოოდ ზუსტი პროპორციების დაცვას მოითხოვს. თანაც მედიცინა საკმაოდ დინამიური დარგია - ყოველ წელს კეთდება არაჩვეულებრივი აღმოჩენები, რაც ექსპერტებს მკურნალობის არსებული მეთოდების გადახედვასა და ახალი თაობის ხელსაწყოების გამოყენებისკენ უბიძგებს. მეცნიერებისა და სამედიცინო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების ტანდემთა მიღწევების გაცნობის საუკეთესო საშუალება კი გამოფენებია, განსაკუთრებით ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენა MEDICA, რომელიც უკვე 40 წელია მედიცინის მუშაკთა და სამედიცინო მრეწველობის პროფესიონალთა შეხვედრის ადგილია.




1969 წელს კალსრუეში სამედიცინო კონგრესი "დიაგნოსტიკის კვირეული" ("Diagnostikwoche") ჩატარდა. კონგრესის ჩარჩოში გამოფენაც მოეწყო. გამოფენამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მომდევნო წელს, მეტი მასშტაბურობისთვის, ის დუსელდორფში გადაიტანეს და აქვე დამკვიდრდა სახელწოდებით MEDICA.

MEDICA დღეს ცნობილი, აღიარებული ბრენდია და სრულიად გამოფენათა საუკეთესო ათეულში შედის. 1992 წლიდან MEDICA-ს პარალელურად სამედიცინო მრეწველობისათვის საჭირო კომპონენტების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების გამოფენა COMPAMED ტარდება. ეს თითქმისდა დამხმარე ექსპოზიცია დღეს 500-მდე მონაწილეს მოიცავს, MEDICA-ს განუყოფელი ნაწილია და დუსელდორფის საგამოფენო ცენტრში 2 პავილიონი უკავია. ბოლო ათწლეული MEDICA-ს ისტორიაში ერთი სიტყვით ხასიათდება - ინტეგრაცია! თავდაპირველად მას გამოფენა INTERHOSPITAL შეუერთდა, შემდეგ ეროვნული გამოფენა INTERFAB და ნამყვანი კონგრესი

თეა კალანდაძე - კომპანია GMS-ის გაყიდვების მენეჯერი: "MEDICA წელიწადში ერთხელ ნოემბრის თვეში იმართება, ამიტომ მასში მონაწილეობა, დასწრება ან თუნდაც მხოლოდ დათვალიერება განსაკუთრებული მოვლენაა. ეს არის უნიკალური შანსი შეხვდე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ ექიმებს, საავადმყოფოების მენეჯერებს, კლინიკათა ხელმძღვანელებს, კერძო პრაქტიკის ექიმებს, მეცნიერებს, მკვლევარებს, სამედიცინო ამბულატორიული მომსახურების ცენტრების, ტექნიკური სამსახურის, სამედიცინო მრეწველობის, სპეციალიზებული სამედიცინო ვაჭრობის, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვადასხვა ასოციაციათა წარმომადგენლებს.

MEDICA - 2011-ში 4 300 ექსპონენტი მონაწილეობდა 70 ქვეყნიდან. 17 საგამოფენო პავილიონი 120 000 კვ.მ. ფართობს მოიცავდა, მაგრამ ღონისძიების სტრუქტურა ისე მჭიდროდაა ორგანიზებული, რომ დამთვალიერებელი სივრცეში იოლად ორიენტირებს. ექსპოზიციები 3 ძირითად მიმართულებად იყოფოდა: სამედიცინო მოწყობილობები, ტექნოლოგიები და სამკურნალო პრეპარატები. პროდუქციაც შესაბამისად იყო წარმოდგენილი: პაციენტის ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობისა და მედპერსონალისათვის საჭირო პროდუქციის სრული სპექტრი, სამედიცინო ელექტროტექნიკა, სამედიცინო და ტექნიკური ინოვაციები, სამედიცინო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საოპერაციო, ლაბორატორიული, სამაშველო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოწყობილობები, ტექნიკა დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიისა და ორთოპედიისათვის, სამედიცინო ავეჯი, ლიტერატურა და სხვადასხვა მომსახურება.

MEDICA 2011-ის მიზანი იყო ჯანდაცვის ყველა სისტემის განვითარება, ვაქცინებისა და სამკურნალო პრეპარატების ჩათვლით, ინოვაციური აპარატურის დანერგვა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება."

მზია ბერიძე - კომპანია GMS-ის გაყიდვების სპეციალისტი: "MEDICA - მსოფლიოს 115 ქვეყნის მედიკოსებს, სამედიცინო მრეწველობის წარმომადგენლებსა და სამედიცინო ექსპერტებს შორის კომპეტენტური ინფორმაციის გაცვლის 4 დღეა. "MEDICA Congress", პრაქტიკაზე ორიენტირებული ფორუმები: "MEDICA Tech Forum" - თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება პრაქტიკაში, "MEDICA Physio Forum" - ყველაფერი ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის საკითხებზე, "MEDICA Media Forum" - მსჯელობები ტელემედიცინასა და სამედიცინო საინფორმაციო სისტემებზე, გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით მიმდინარე "MEDICA Vision Forum", სადაც სხვადასხვა უნივერსიტეტმა და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მომავლის სამედიცინო ტექნოლოგიები წარმოადგინა, გამოცდილების გასაზიარებელი თემატური კონფერენციები - "Deutschn Krankenhaustag" და სხვა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები, კომპანიათა პრეზენტაციები - გამოფენას იდეალურად ერწყმის.

ბიზნეს-ცენტრი "MEDICA Business Center" კი საქმიან პარტნიორთა შეხვედრების ადგილი, მონაცემთა, შეთავაზებათა, მოთხოვნათა მსოფლიო ბაზა და კომპანიათა შორის, ახალი კონტაქტების დასამყარებლად, საკომუნიკაციო პლატფორმაა.







Johnson & Johnson
DIAGON®
GE
implantcast
NIPRO
Broche®

მოვისმინეთ წამყვანი ექსპერტებისა და მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ლექციები თემებზე: სიმსივნეები, გულსისხლძარღვთა, ასაკობრივი დაავადებები და სხვა. ჩატარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, ექოსკოპიისა და ენდოსკოპიის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. შევხვდით კომპანია General Electric-ს წარმომადგენლებს და დავესწარით მათ მიერ წარმოდგენილი პროდუქციის პრეზენტაციას. როგორც გამოფენის დირექტორმა ჰორსთ გისენმა (Horst Giesen) განაცხადა, MEDICA-ს მართლაც "უდიდესი ნდობა აქვს, როგორც მონაწილეების, ასევე დამთვალიერებელთა მხრიდან, რადგან აქ პროდუქციის ხარისხიც და რაოდენობაც იდეალურია".

ელენე ტაშკევიჩი - კომპანია GMS-ის საინჟინრო სამსახურის უფროსი: "კომპანია GMS გამოფენა MEDICA-ს რამდენიმე წელია სისტემატურად ესწრება. წელს ოთხი თანამშრომელი გავემგზავრეთ. მინდა აღვნიშნო, რომ სათანადოდ მოვემზადეთ - დავამუშავეთ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციები, ვაწარმოეთ მოლაპარაკებები გარკვეულ კომპანიებთან, დავგეგმეთ შეხვედრები და დრო პროდუქციის ადგილზე გასაცნობად. თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი მიმართულება ჰქონდა. პირადად მე ლაბორატორიული მიმართულებით ვმუშაობდი. მაინტერესებდა ბიოქიმიური, იმუნოდიაგნოსტიკური, მიკრობიოლოგიური და ვირუსოლოგიური აპარატები, რეაქტივები და სახარჯი მასალა, თუმცა აქცენტი ლაბორატორიების გარე კონტროლზე გავაკეთე. ჩვენი კომპანიის ლაბორატორიების ქსელის შიდა კონტროლს თავადვე ვაკეთებთ, მაგრამ აუცილებელია ხარისხის გარე კონტროლიც დავნერგოთ, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ფირმა ატარებს და გაძლევს შესაბამის სერთიფიკატს. სავალდებულოა წელიწადში ერთხელ, მაგრამ სასურველია ყოველ 6 თვეში გაიარო სერთიფიცირება ანუ ლაბორატორიები გარე კონტროლით გადაამოწმო. შევარჩიე ორი ფირმა - ამერიკული და ინგლისური, არჩევანს მოლაპარაკებების შემდეგ გავაკეთებთ.

ის, რომ GMS-ს უკვე კარგად იცნობენ - დიდი ხანია ვარსებობთ ბაზარზე, გვაქვს სერიოზულ, სახელგანთქმულ კომპანიებთან თანამშრომლობის გამოცდილება და კარგი რეპუტაცია, ძალიან გვეხმარებოდა მუშაობაში. დავათვალიერეთ მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მიერ წარმოდგენილი როგორც ინოვაციური მასალებისგან დამზადებული სამედიცინო ინსტრუმენტები, საავადმყოფოსა და ლაბორატორიული კვლევებისათვის საჭირო აპარატურა, ასევე დიაგნოსტიკის, ქირურგიული ოპერაციების, ფარმაკოლოგიისა და პროგრესული სამეცნიერო



მიდგომების მიღწევები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო უსადენო ტექნოლოგიები მედიცინაში. აღსანიშნავია, რომ MEDICA-ზე უპრობლემოდ იპოვით ისეთ ვიწროსპეციალიზებულ მოწყობილობასაც კი, მაგალითად როგორიცაა ლაბორატორიული კვლევებისათვის საჭირო ელემენტარული ხელსაწყო ან სანიტარული პროცედურების ჩასატარებელი ნივთები. დაწვრილებითი ინფორმაცია მივიღეთ ქირურგიული მოდელირების, რადიოლოგიის, სპორტში ტექნიკის შესახებ. საკუთარი ხელით ადგილზე გამოვცადეთ ლაპარასკოპიული ინსტრუმენტები. ერთი სიტყვით, MEDICA-ში მონაწილეობა უნიკალური საშუალებაა სამედიცინო სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად, არსებული კონტაქტების გასამყარებლად, ახალი პარტნიორების შესაძენად, ვანდაცვისათვის საჭირო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გასატანად, დარგის ექსპერტებთან გამოცდილების, ცოდნის გასაზიარებლად და სამედიცინო მრეწველობის ბოლო ტენდენციების გასაცნობად."

# GMS კიდევ ერთი ცნობილი კომპანიის დისტრიბუტორი გახდა

კომპანია GMS-ის მიერ მოწოდებულ მრავალრიცხოვან პროდუქციას 2012 წლიდან Foshan Roson Medical Instruments Co.-ის სტომატოლოგიური აპარატურა (სტერილიზატორები, რენტგენი, კომპრესორები და სხვა), სტომატოლოგიური სავარძლები, ინსტრუმენტები, სახარჯი მასალა და სტომატოლოგიური კაბინეტისათვის განკუთვნილი ავეჯი შეემატა.



[illegible]

[illegible]

დღეს სტომატოლოგიამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ ნამდვილად სასწაულებს ახდენს. კომპიუტერული ტექნოლოგიის, ინოვაციური აპარატურის, უახლესი ინსტრუმენტების, უსაფრთხო, ეფექტური ანესთეტიკებისა და გამძლე, მრავალფეროვანი მასალების გამოყენებით პაციენტის ვიზუალური და ესთეტიკური მხარე მაქსიმუმს აღწევს.
9 თებერვალს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში "სტომატოლოგთა საერთაშორისო დღე" აღინიშნება. ეს თარიღი შემთხვევით არ არის შერჩეული – ის ქრისტიანული ალმასრებლობისთვის ნაწამები (მას ყველა კბილი დაამტვრეს) აპოლონიას მოხსენიების დღეა, რომელიც უკვე სამი საუკუნეა ოფიციალურად ითვლება სტომატოლოგიის მფარველად და სიმბოლოდ. III საუკუნეში, ალექსანდრიაში მისმა თავგანწირვამ ისე გააოცა ხალხი, რომ ლეგენდაც კი დაიბადა, რომელმაც დღემდე მოაღწია: კბილის ტკივილის დროს თუ აპოლონიას შევევედრები ტკივილი გაივლის.
წელს კომპანია GMS ამ "დღესასწაულს"

მნიშვნელოვანი სიახლით შეხვდა – ის სტომატოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის Foshan Roson Medical Instruments-ის დისტრიბუტორი გახდა.
კომპანია Roson Medical Instruments ათ წელზე მეტია წარმატებით მოღვაწეობს სტომატოლოგიური აღჭურვილობის ბაზარზე. მისი პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს არამარტო ჩინეთში, არამედ მსოფლიოს 30 ქვეყანაში.



საწარმოო ქარხანა ფოშანის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მდებარეობს და 3000 კვ.მ. ფართობს მოიცავს. იხსნება ახალი საწარმოები სასტერილიზაციო და რენტგენის მოწყობილობების წარმოების გასაფართოებლად.

კომპანია Foshan Roson Medical Instruments აღიარებული და რეგისტრი-



რებულია GDSFDA-ს მიერ და ფლობს ISO9001, ISO EN 13485, CE TUV Gmbh სერთიფიკატებს. ის სტომატოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს და მუდამ ინოვაციებსა და სიახლეებს წარმოადგენს.

Roson Medical Instruments-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკუთარი კურსები აქვს, ხოლო კომპანიის პროფესიონალთა ჯგუფი მუდმივად ატარებს ტრენინგებს სტომატოლოგების, ტექნიკოსების სპეციალისტებისა და დისტრიბუტორი კომპანიების წარმომადგენლებისთვის.
კომპანია Foshan Roson Medical Instruments ყოველთვის ერთგულია საკუთარი დევიზის: " მაღალი ხარისხი – დაბალი ფასი." ჩინურად როსონ "იყავი საუკეთესო"-ს ნიშნავს, ამიტომაც "ბრენდი როსონ — დამზადებულია ჩინეთში" – ცნობილი და საიმედოა არამარტო ჩინელებისთვის, არამედ მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის და მათ შორის ჩვენთვისაც.

ავტორი მაკა ქორიძე

Johnson & Johnson
DIAGON®
implantcast
NIPRO
Broche®

GMS Georgian Medical Systems NEWS

www.gmbg.ge

№8 > 2012

# კიბო დიაგნოზია და არა განაჩენი



2014 წლისათვის თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებს ევროპული სტანდარტების, თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი "ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი". დღეს, როდესაც ონკოლოგია უკვე გლობალური პრობლემაა, ასეთი დონის კლინიკის არსებობას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2020 წლისათვის ონკოლოგიური დაავადებები თავისი მასშტაბურობით, სამწუხაროდ, ამჟამად პირველ ადგილზე მდგომ გულსისხლძარღვთა დაავადებებსაც კი გაუსწრებს.

ყოველ წელს მსოფლიოში სიმსივნის 12 მლნ. ახალი შემთხვევა ვლინდება და დაახლოებით ნახევარი ლეტალურად მთავრდება. დაავადებულთა მეტი წილი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, თუმცა განვითარებულ ქვეყნებშიც არ შეიმჩნევა შემცირების ტენდენცია, სამაგიეროდ შემცირდა გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობა პირველ წელს გამოვლენილ ავადმყოფთა შორის.




*სიმსივნე ავთვისებიანი (ნეოპლაზმა). კიბო (ლათ.* cancer*) [illegible]*

ხშირად ადამიანები ყოველგვარ ონკოლოგიურ დაავადებას კიბოს უწოდებენ და ეს სიტყვა მათთვის განაჩენის სინონიმია, სინამდვილეში კიბო ავთვისებიანი სიმსივნის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა. არც ყველა ონკოლოგიური დაავადება და წარმონაქმნია სასიკვდილო და არც ყველა სიმსივნე-ავთვისებიანი. დღეს ონკოლოგიური დაავადებები იკურნება და ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობაც იზრდება. თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში, გვესაუბრება "ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის" გენერალური დირექტორი ბატონი რევაზ გაგუა.



რევაზ გაგუა: "საქართველოში ყოველ წელს სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადების 7000 ახალი შემთხვევა ვლინდება, რაც ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და ის უკვე სოციალური პრობლემაცაა, ამიტომ ონკოლოგია სახელმწიფოს პრიორიტეტად აქვს აღებული: 18 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა პროგრამულ დაფინანსებაზეა. კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით, სახელმწიფოს ხარჯზეა უმწეოთა კონტინგენტიც, ხოლო 60 წლის გადაცილებულ პაციენტთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა 70%-ით ფინანსდება. რამდენიმე დღის წინ ონკოლოგებს შეხვედრა გვქონდა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილთან, სადაც საუბარი იყო ახალი პაკეტის შექმნის თაობაზე, რათა სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს ონკოპაციენტთა მკურნალობაში. განსაკუთრებით ეს ეხება საშუალო ასაკის ავადმყოფებს, რომელთაც დაზღვევის ან სპონსორის არარსებობის შემთხვევაში თავად უწევთ ყველა ხარჯის დაფარვა.

ჩვენი "ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო, სამეცნიერო და პედაგოგიური ცენტრია. აქ პაციენტის სრულყოფილად გამოკვლევისათვის ყველა პირობაა შექმნილი, ხოლო თუ საჭირო გახდა ისეთი უმაღლესი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც ჩვენ კლინიკას არ გააჩნია, ხელშეკრულება გვაქვს დადებული ფრიდონ თოდუას ცენტრთან და დამატებითი გამოკვლევა პაციენტს იქ უტარდება. ჩვენთან ყველა ორგანის უნიკალური ოპერაცია კეთდება, ვინაიდან ცენტრში 11 კლინიკური განყოფილება ფუნქციონირებს და მათ სახელგანთქმული, გამოცდილი კლინიცისტები ხელმძღვანელობენ. პაციენტთა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში გამოიყენება და ინერგება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებული ყველა სიახლე და მიღწევა, მაგრამ საქართველოში ერთი ძალიან სერიოზული პრობლემაა იმ 7000 ახლადგამოვლენილი ავადმყოფის 70-75% დაავადების III-IV სტადიაში მოგვმართავს, როდესაც მკურნალობის ქირურგიული ჩარევის მეთოდი უკვე ნაკლებად გამოიყენება. ჯერჯერობით ჯერ კიდევ შეუძლებელია სიმსივნის ყველა სიმპტომის დასახელება, დაავადება კი ხშირად დაფარულად ან სერიოზული სიმპტომების გარეშე ვითარდება, ამიტომ ონკოლოგიური პათოლოგიების გამოსავლენად აუცილებელია მოქალაქეებმა წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტარონ სრული გამოკვლევა და გაიკეთონ ანალიზები, ვინაიდან მკურნალობის ეფექტურობა სწორედ დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული: I და II სტადიაზე გარანტირებულად შეიძლება ითქვას, რომ სრული განკურნებაც კი შეიძლება. III-IV სტადიაში განკურნებაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ დღეს არსებული სამკურნალო საშუალებებით - მედიკამენტური, სხივური და ქიმიოთერაპია, კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობა, შესაძლებელია სიცოცხლის გახანგრძლივება. მკურნალობის მეთოდის შერჩევა კი დამოკიდებულია სიმსივნის ჰისტოლოგიურ სურათზე.

თუ ადრე ონკოლოგიური დიაგნოზი განაჩენის ტოლფასი იყო და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული პაციენტები ზოგჯერ უარს ამბობდნენ მკურნალობაზე, რადგან ეს დაავადება განუკურნებელი ეგონათ, დღეს ასე არ არის. ონკოლოგიური მეცნიერება სწრაფად ვითარდება. ახალმა აღმოჩენებმა მოლეკულურ ონკოლოგიაში თანამედროვე მედიცინას სიმსივნის ბევრი სახეობის 100%-ით განკურნების საშუალება მისცა. შეიქმნა ახალი პრეპარატები, რომელიც მოქმედებს სიმსივნის განვითარების იმ სტადიაში და სწორედ იმ უჯრედებზე, რომელზეც მეცნიერებსა და ექიმებს სურთ რომ იმოქმედოს. სერიოზულად მუშაობენ კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინაზე. მართალია ეს მიღწევები პანაცეა არ არმოჩნდა, მაგრამ ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადება მკურნალობას დაექვემდებარა, ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აუცილებელია ადრეული დიაგნოსტიკა-ულტრა-



ბგერითი, რენტგენული და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, ლაპაროსკოპია, ბიოფსია, თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდები. პროფილაქტიკისთვის კი საჭიროა ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვა: ვარჯიში, სწორი კვება, წონის კონტროლი, უარის თქმა ნიკოტინსა და ალკოჰოლზე".

2010 წელს "ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" კანადურმა კომპანიამ Pegasus Pharmaceuticals Group Inc. შეიძინა და წელს, აპრილის ბოლოს, ცენტრის რეაბილიტაციას იწყებს. ჩაიდება 20 მლნ. $-ის ინვესტიცია. შეიცვლება ექსტერიერი, ინტერიერი, საყოფაცხოვრებო პირობები. პალატები და საოპერაციოები, გაფილტრული ლამინირებული ჰაერით, ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს. რეაბილიტაცია მაქსიმუმ ორ წელში დასრულდება და ცენტრი მთლიანად იქნება აღჭურვილი მომავლის უმაღლესი ტექნოლოგიებით: მაგნიტური რეზონანსი, პოლიტრონულ ემისიური ტომოგრაფი (PET), რომელიც პრეკლინიკურ სტადიამდე ადგენს ორგანიზმში ონკოლოგიური დაავადების არსებობას და სხვა. ინვესტორების სურვილია ცენტრში განვითარდეს როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული ონკოლოგია. მოეწყობა ლაბორატორიები, ჩატარდება კვლევები და ექსპერიმენტები. რეაბილიტაციის პროცესში კლინიკა ერთ ცხრასართულიან კორპუსში განთავსდება და ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას.



2011 წლის დეკემბრიდან შ.პ.ს. "ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს" სამედიცინო ბიზნესის სწორად წარმართვაში კომპანია "ქართული ჰოსპიტალი" ეხმარება. თანამშრომლობის ძირითადი მიზანი მკურნალობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებაა. ბიზნესის განვითარების მენეჯერი ლევა ჭუმბურიძე: "ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვეა, რაც "ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრთან" ვთანამშრომლობთ და ვთვლი, რომ შეძლებისდაგვარად საკმაოდ დიდი სამუშაო ჩავატარეთ: თითქმის გავისტუმრეთ მედპერსონალის ძველი სახელფასო დავალიანება და ამჟამად ხელფასები დროულად გაიცემა. ტესტირების საფუძველზე განხორციელდა საკადრო ცვლილებები. მოხერხდა შემოსავლების ლეგალიზაცია და შესაბამისად გაიზარდა შემოსავალიც. მიმდინარეობს სტანდარტიზაცია, ხოლო სადაზღვევო კომპანიებთან მიღწეული შეთანხმებების შედეგად გაცილებით მეტ პაციენტს მიეცა საშუალება მიმართოს "ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს" გამოკვლევებისა და მკურნალობისათვის".

Johnson & Johnson DIAGON® GE implantcast NIPRO Broche®